ასული თოვლისა ბრისაი ვინი

287 Опись 1 184

287 Опись 1 184

დასკანირებულია
16.01.2025

ბრძოლისა და გამარჯვების წიგნი.*)

გადაშლით თუ არა ქართველ მებრძოლთა ლექსების კრებულს „იერიშს“, გულში ჩამწვდენ ასეთ სიტყვებს ამოიკითხავთ: „ამ ლექსების დიდი უმრავლესობა ვერაგი მტრის ტყვიისაგან მკერდგაპობილი გმირი ქართველი მეომრების საველე ჩანთებიდანაა ამოღებული, მტრის ტყვიით დაცხრილული და სისხლით შეღებილი ზოგი ავტორი გმირულად დაეცა ბრძოლაში, ზოგი კი, გამარჯვებული, სახელოვანი, ღირსეულად დაჯილდოებული დაუბრუნდა თავის სამშობლოს და განაგრძობს მუშაობას შრომის ფრონტზე“.

შეიძლება წიგნში მოთავსებულ ლექსებს აკლდეთ პოეტური ფერები, ესაჭიროებოდეთ დახვეწა, მაგრამ ისინი მაინც ყურადღებას იპყრობენ გულწრფელობით, უშუალობითა და დამაჯერებლობით.

მებრძოლი ავტორები პირდაპირ გადმოგვცემენ საკუთარი გულიდან ამოღებულ სტრიქონებს, და თუ ზოგიერთი სტრიქონი ლექსში ცუდად ყღერს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი იწერებოდნენ სანგრებში შებოლილ ქაღალდის ნაგლეჯებზე. მაშინ, როდესაც ყოველი წუთი სიკვდილისა და სიცოცხლის შორის ბეწვის ხიდივით იყო გადებული, ისინი ლექსებს ანდობდნენ თავიანთ ტკივილებსა თუ აღტაცებას, გმირულ რწმენასა თუ სატრფოსადმი სიყვარულს და ახალი ენერგიით უტევდნენ მტერს... ხმალთან ერთად ლექსიც იბრძოდა, ლექსი ბრძოლისა და გამარჯვებისა.

როდესაც დროებითი უპირატესობით გათამამებული ფაშისტთა ველური ურდოები წინ მოიწევდნენ, არც ერთი წუთით საბჭოთა მეომარი სულით არ დაცემულა, რადგან მათ მტკიცეთ სწამდათ ადრე თუ გვიან მტრის დამარცხება:

„მტერს არ დავუთმობთ, მოვსპობთ,
დავმეხავთ
უკანასკნელი სისხლის წვეთამდე,
ჩვენ ვაუკაცობის ფიცს არ გავტეხავთ,
ბრძოლას მივიყვანთ გამარჯვებამდე“.

ამბობს თავის ერთ-ერთ ლექსში მებრძოლი პოეტი ს. ყღენტი.

სისხლის გუბეები იდგა ბრძოლის ველზე. კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი მტერი ვერ სტეხდა წითელი არმიის რიგებს. გმირულად დაცემული საბჭოთა მებრძოლის ადგილზე ახალი გმირები დგებოდნენ, გაასკეცებული ძალითა და ენერგიით გადადიოდნენ შეტევაზე. კითხულობთ აკ. თოფურიას ლექსს და გრძნობ ყოველი მისი სტრიქონის ღრმა სიმართლეს:

„დილით, რიყრაჟი როცა გაჰკრებს,
გზას დამილოცავს სანგარი სანდო.
სადღაც მომიწევს კვლავ ჩასანგრება,
ან სად ვიჭნები, ვინ იცის ამ დროს...
ვინ იცის, კიდევ სანამ ნათელი
მზე გამარჯვების ყველგან დადგება,
ჩამომცილდება გზაში რამდენი,
რამდენი ისევ შემემატება“.

ასეთი ძლიერი სულისკვეთებით აღსავსე მებრძოლებმა მოსპეს ჭაღარა კავკასიონის მისადგომებთან ფაშისტთა დივიზიები.

„ჩქარა... ჩქარა... მტერმა იგრძნოს
ჩვენს ბიწაზე რაც დასთესა“.

ამბობს ბ. შეწირული და აღფრთოვანებული განაგრძობს:

„ჩვენს წინ მხოლოდ ერთი გზაა, —
ბერლინისკენ მიდის ეს გზა“.

საბჭოთა არწივები, შორეულ ოდერის ტალღებს კვეთავდნენ, თუ ბერლინის კარიბჭეს ანგრევდნენ, მათ არასოდეს ავიწყდებოდათ შობლიური მიწა-წყალი, დედ-მამა, დები, სატრფო და მათი მოგონებით უფრო აღიგზნებოდნენ მტერზე შურის საძიებლად.

„მთებს და ზღვებს იქით
ჩემი გულის ერთი ნაწილი
მესაიდუმლეს,
უნეტარეს სიზმარში ხედავს“...

გადმოგვცემს დ. პატიტაშვილი და სწამს, რომ მალე დაამარცხებს მტერს და გამარჯვებული დაუბრუნდება შობლიურ კერას.

ხმალამოწვდილი მებრძოლები თავიანთი ლექსებით მარტოდენ საკუთარ თავს როდი ებაასებოდნენ... მათი ლექსები ეს იყო მოწოდება — წინ, გამარჯვებისაკენ. იმ მძაფრ წუთებში შებრძოლი მებრძოლს გადასძახოდა:

„მამა-პაპური ძახილით
სცადეთ მარჯვენა ჭართული,
არ გაგიტყდებათ მახვილი
ბრძოლაში ამომართული“ („ქართველ ვაჟკაცებს“. ს. რუხაძე).

წიგნი „იერიში“ ნათელი მატეანეა დიდი სამამულო ომისა. მასში მოთავსებული სამოცდათოთხმეტი მეომარი-პოეტის ლექსები გულწრფელად, დამაჯერებლად გადმოგვცემენ რწმენას და სწრაფვას ქართველი ვაჟკაცისას, რომელმაც სხვა მოძმე ერების ბატრიოტებთან ერთად მკერდით დაიცვა საბჭოთა ქვეყნის თავისუფლების დროშა.

ვახტანგ გორგანელი

*) „იერიში“—ქართველ მებრძოლთა ლექსები, საბლიტგამი, 1948 წ. გვ. 186.

ჩაის კრეფის ოსტატები



გაზაფხული იყო. ჩაის ბუჩქები ყლორტებს ისხამდა. 17 წლის კოლმეურნე ქალიშვილი გულნარა ქიქავაძე დილიდან საღამომდე ჩაის პლანტაციაში ფუსფუსებდა. სტახანოვურ ნაკვეთს უვლიდა, ძირებზე სარეველებს აცლიდა, შეჰქონდა სასუქი. 0,5 ჰექტარი ფართობი იყო მასზე გაპირობებული. აქვე, გვერდით გულნარას დედის, სოციალისტური შრომის გმირის აიშე ქიქავაძის სტახანოვური ნაკვეთი იყო გაშლილი.

ერთხელ, როცა სამუშაოდან ბრუნდებოდნენ დედა და შვილა, გულნარამ დედას ასე მიმართა:

— გადავწყვიტე, დედა, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოგიწვიო, ხომ თანახმა ხარ?

— კარგად იფიქრე, არ შერცხვე... დიდი მუშაობა მოგიწევს, იცოდე.

...ღია კომკავშირული კრება იყო. გულნარამ ითხოვა სიტყვა:

— მიმდინარე წელს 6.000 კილოგრამ ჩაის პირველხარისხოვან ფოთოლს მოვკრეფ 0,5 ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთიდან. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ სოციალისტური შრომის გმირს აიშე ქიქავაძეს.

მას შემდეგ დღედაღამეს ასწორებდა გულნარა. მზრუნველობას არ აკლებდა ხავერდოვან ჩაის ბუჩქებს. დედისაგან მან ჩინებულად ისწავლა ათივე თითით ჩაის კრეფის ტექნიკა და დღიურად ოთხჯერ ნორმას ასრულებდა.

ამას წინათ სახელოვანი კომკავშირის იუბილესთან დაკავშირებით სოფელ ხუცუბნის (ცობულეთის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა სტახანოველმა გულნარა ქიქავაძემ 6.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩააბარა საშობაოს, ამ დღეებში მან დამატებით მოკრიფა 300 კილოგრამი.

სურათზე: (მარცხნიდან) სტახანოველი მეჩაიე გულნარა ქიქავაძე და სოციალისტური შრომის გმირი აიშე ქიქავაძე ამოწმებენ მოკრეფილი ჩაის ხარისხს.

საჩუქარი სოხუმელ ახალგაზრდებს

მზიურ აფხაზეთში ფართოდაა დანერგილი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. იქ მრავალი სპორტული ბაზაა, რომლებიც ემსახურებიან ახალგაზრდობის ფიზიკური გაწრთობისა და გაჯანსაღების საქმეს.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის საიუბილეო დღეებში სოხუმელმა ახალგაზრდებმა ახალი, სასიხარულო საჩუქარი მიიღეს — კეთილმოწყობილი კალათბურთის მოედანი, რომლის გახსნა საზეიმო ვითარებაში ჩატარდა.

მელ ახალგაზრდებს კალათბურთის მოედნის გახსნა და უსურვა ახალი სპორტული მწვერვალების დაპყრობა.

მიტინგის დასასრულ ა. ქვარცხავამ საპატიო სიგელები გადასცა კალათბურთის მოედნის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეებს გვათუას (ტრესტი „სოხუმმშენი"), თავართქილაძეს (არქიტექტორი), მგალობლიშვილს (მშენებლობის უფროსი) და სხვ.

იწყება სპორტული ზეიმი, აკრობატების